# ხობის მოამბე

„თვითმმართველობის უმაღლესი წარმომადგენელია საკრებულო ყოველივე საქმიანობაში. საკუთარ უნდა დაიცვათ, ეგი ყველაფერს ხელიხლებს... ყოველი საკრებულოსადმი, თითოეულს გულმოდგინეთ თუ შეგიძლია დაეხმარეთ, ნაკლოვანებანი-ნაკლოვანებანი ასრულდა ადგილი, რომ მიგვიყვანა ერთ ადგილამდე, რომ მიგვიყვანა ერთ ადგილამდე.“

№10 (7113) 27 სექტემბერი, პარასკევი, 2019 წელი.

ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## ნუგზარ წურწუმია მსოფლიო ჩემპიონია გილოცავთ!



ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, მსოფლიო ჩემპიონს, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრს, ნუგზარ წურწუმიას გულშემატკივრებმა საზეიმო დახვედრა მოუწყვეს.

საზეიმო ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ფარცვანია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე, ყაზახეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ნუგზარ წურწუმიას ასპარეზობის ამსახველი ფოტო-ვიდეო კოლაჟის ჩვენება გაიმართა.

ხობელ მსოფლიო ჩემპიონს და მის მწვრთნელებს (მამუკა ყორშია, სურაჯი გვასალია, ბაკურ ბუკია) ადგილობრივი ბიუჯეტიდან პირად ანგარიშზე ფულადი ჯილდო ჩაერიცხებათ.

ნუგზარ წურწუმიამ ყაზახეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მასპინძელი ხორლან ზაკანშა 9:0 დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ხობელი ფალავანი ასევე, 23-წლამდელთა შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია.

## ეფხაზეთი ჩვენი ტკივილია!

27 სექტემბერი–სოხუმის დაცემის დღე!

## ნუგზარ წურწუმიას საჩუქრად ბინა გადასცეს

სამშენებლო კომპანია „არქიმ“ ქართველ მსოფლიო ჩემპიონებს თბილისში ბინები გადასცა. კომპანიისგან საცხოვრებელი ფართი მიიღო ხობელმა სპორტსმენმა ნუგზარ წურწუმიამ. მას ოროთახიანი ბინა ისანში გადაეცა. „დაგვიბარეს ოთხივე ჩემპიონი, სიმბოლური საჩუქრები უნდა გადმოგცეთო. რა თქმა უნდა მოულოდნელი იყო და ძალიან მიხარია“,–გვითხრა ნუგზარ წურწუმიამ.

# განათლების რეფორმა

## განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

### ახალი სასწავლო წლიდან უფროსი, წამყვანი ან მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლებს ანაზღაურება ეზრდებათ

*2019 წლის ოქტომბრის დასაწყისში ყველა პედაგოგს, რომელსაც აქვს სტატუსი და მინიმუმ 15 საგაკვეთილო საათი, ანაზღაურება გაეზრდება 150 ლარით.

* უფროსი მასწავლებლები მიიღებენ 1011 ლარს;
* წამყვანი მასწავლებლები მიიღებენ - 1435 ლარს;
* მენტორი მასწავლებლები მიიღებენ - 1745 ლარს.

(მეტი საგაკვეთილო საათის შემთხვევაში, კიდევ მეტს)

* პედაგოგებს, რომლებსაც 15 საგაკვეთილო საათზე ნაკლები ექნებათ, საშუალოდ 100 ლარით გაეზრდებათ ანაზღაურება.
* მიმდინარე წლის შემოდგომაზე სისტემას ეყოლება 33 000 პედაგოგი, რომელთაც სტატუსი აიმაღლეს.
* პედაგოგებისთვის ანაზღაურების ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება და ეტაპობრივად განხორციელდება ისე, რომ 2022 წლისათვის მათი ანაზღაურება იქნება:
* უფროსი მასწავლებელი - 1700 ლარი;
* წამყვანი მასწავლებელი - 2135 ლარი;
* მენტორი მასწავლებელი - 2445 ლარი.

### საჯარო სკოლების ადმინისტრაციების და საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებს ანაზღაურება გაეზრდებათ

*განათლების კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, 2019 წლის 1 ოქტომბრიდან, საშუალოდ 20%-ის ფარგლებში, საჯარო სკოლების ადმინისტრაციების წარმომადგენლებს, ტექ.პერსონალს, მათ შორის სკოლების ექიმებს და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ სპეციალისტებს ანაზღაურება გაეზრდებათ.

რესურსცენტრის უფროსის ანაზღაურება 250 ლარით გაიზრდება და 1 450 ლარით განისაზღვრება;

* მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ანაზღაურება 200 ლარით მოიმატებს და 1000 ლარი გახდება;
* მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ანაზღაურება 150 ლარით გაიზრდება და 950 ლარი გახდება;
* 150 ლარით მოემატება ანაზღაურება პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტს და მისი თანამდებობრივი სარგო 850 ლარი გახდება.
* ანაზღაურება გაეზრდებათ მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებულ სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებსაც, რომლებიც წარმოადგენენ სკოლის ადმინისტრაციას და თანამდებობრივ სარგოზე დანამატი 125 ლარი ექნებათ.

*შეიცვლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის საჯარო სკოლების დამატებითი დაფინანსების ოდენობაც. 1-დან 6 კლასის ჩათვლით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის, საჯარო სკოლები ყოველთვიურად დამატებით 600 ლარით დაფინანსდებიან.

### საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა

ხობის მუნიციპალიტეტში, საქართველოს მთავრობის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის აღდგენა-მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხით 10 პროექტი განხორციელდა. ზემო ქვალონის, ქვემო ქვალონის №2, საჯიჯაოს №1, თორსა-დღვაბის, პირველი მაისის, შუა ხორგის, ნოჯიხევის №2, საჯიჯაოს №2 საჯარო სკოლებში მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული სველი წერტილები; სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ახალსოფლის სკოლაში. ხოლო, ხობის №2 სკოლაში გარემონტდა სპორტული დარბაზი. სკოლების ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 530 000 ლარამდე დაიხარჯა. დასრულებული პროექტები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ და მერის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს.

### საჭიჭაოს №2 საჭაო სკოლის იუბილე აღნიშნეს

ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს №2 საჯარო სკოლაში, სკოლის დაარსებიდან 100 წლის იუბილე აღნიშნეს. სკოლის იუბილესთან დაკავშირებით კონცერტი გაიმართა, რომელშიც მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

საიუბილეო თარიღი დამსწრე საზოგადოებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ დავით ვერავამ, ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ და ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ბეატრისა რუსიამ მიულოცეს.

### ზემო ქვალონში კეთილმოწყობილი ბაღი გაიხსნა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, მერმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დოდო გაბუნიამ, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ზემო ქვალონში, კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი საზეიმო ვითარებაში გახსნეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ბაღის აღსაზრდელებს და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

საბავშვო ბაღი, რომლის რეაბილიტაციაზეც 50 ათას ლარამდე დაიხარჯა, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ხობის მუნიციპალიტეტში ლოკოკინას ფერმა ფუნქციონირებს



ხობის მუნიციპალიტეტის ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ლოკოკინების ფერმა „ნადი გრუპი“ სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში აშენდა.

ფერმის ასაშენებლად 1 410 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, საიდანაც 1 260 000 ლარი ბენეფიციარმა შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით მიიღო.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გიორგი ხანიაშვილმა, სამეგრელო ზემო-სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, დავით ფარცვანიამ, ხობის მუნიციპალიტეტის მერმა, გოჩა ქაჯაიამ და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორმა, ოთარ შამუგიამ ლოკოკინების ფერმა დაათვალიერეს და საწარმოო პროცესს გაეცნენ.

ფერმა წელიწადში საშუალოდ 50 ტონა ლოკოკინას ხორცს აწარმოებს. პროდუქცია ექსპორტზე გადის, ძირითადად იტალიაში. იგეგმება ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის გატანაც. საწარმოში 10 ადგილობრივი ადამიანია დასაქმებული.

სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, 200 ახალი საწარმო დაფინანსდა, საიდანაც სამეგრელოს რეგიონში 25 ახალი საწარმო ფუნქციონირებს.

სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს“, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვას.

## დასუფთავების აქცია ჩაბარდა

20 სექტემბერს, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრებისა“ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით, ხობის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია სახელწოდებით „დავასუფთაოთ მსოფლიო, დავასუფთაოთ საქართველო“ გაიმართა.

აქციაში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, საკრებულოს აპარატის, მერიის და თვითმმართველობის იურიდიული პირების თანამშრომლები მონაწილეობდნენ. აქციაში მონაწილეებმა ქალაქ ხობში წინასწარ განსაზღვრული ადგილები დაასუფთავეს.

## ხობში საზოგადოებრივი ცენტრი აშენდება

ქალაქ ხობში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა უახლოეს პერიოდში დაიწყება. საზოგადოებრივი ცენტრი მოსახლეობას საშუალებას აძლევს, საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით ისარგებლოს, კერძოდ: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სერვისებით.

სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისების მიღების გარდა, ხობის მოსახლეობა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკითა და საკონფერენციო დარბაზით ისარგებლებს.

საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობაზე 645888 ლარი დაიხარჯება და ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას კეთილმოწყობილი ცენტრით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება.

## ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი ხორციელდება

* სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგს, რეგიონული პროექტების სამსახურის უფროსთან, ნუგზარ გაბელიასთან ერთად აქტიურად განაგრძობს.

* ამჯერად, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ხობის მერთან ერთად, ქარიატასთან დამაკავშირებელი 7 კილომეტრიანი გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა. პროექტს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს. პროექტის შესაბამისად მოეწყობა წყალამრიდი მილები და ეზოებში შესასვლელები. აშენდება ავტობუსის გასაჩერებელი მოედნები და ავტოპავილიონები. დამონტაჟდება საგზაო ნიშნები და დაიგება ცემენტბეტონის საფარი. ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება 3 მილიონ 570 ათას ლარს შეადგენს.

ლუდუკ ხასია ასევე გაეცნო სოფელ საბუკიოში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

***

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ლუდუკი (ნუკრი) ხასიამ და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, სოფელ ძველ ხიბულაში ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით მიმდინარე საბავშვო ბაგა-ბაღის სამშენებლო სამუშაოები დაათავლიერეს.

ორსართულიანი, 60 აღსაზრდელზე გათვლილი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება.

ხელისუფლების წარმომადგენლები ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებსაც გაეცნენ.

ზვიად გამსახურდიას სახლ-მუზეუმის გახსნისთვის აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები. „ქართუ ჯგუფის“ პროექტის ფარგლებში უკვე დაწყებულია ეკლესიის მშენებლობა, რომელიც იქნება კომპლექსი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება პატივი მიაგოს ზვიად გამსახურდიას ხსოვნას.

უახლოეს პერიოდში დაიწყება მუზეუმის ეზოში პარკის გაშენების სამუშაოები.

## „ევროპის სპორტის კვირეული“ დაიწყო

„ევროპის სპორტის კვირეული“ (European Week of Sport – Be Active) ევროკომისიის ორგანიზებით, 2015 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და ხელს უწყობს სპორტული და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას ევროპის მასშტაბით.

ევროპის სპორტის კვირეული“ იმართება ყველასთვის, განურჩევლად ასაკისა, სპორტული გამოცდილებისა, თუ ფიზიკური მომზადების დონისა. კამპანია წარმოებს ჰეშთეგით Active და მოუწოდებს მოსახლეობას, იცხოვრონ ცხოვრების ჯანსაღი წესით, იყვნენ აქტიურები.

30 სექტემბერს, გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება.

კვირეული ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის“ ორგანიზებით ხორციელდება.

ქალაქ ხობის ცენტრალურ პარკში „ევროპის სპორტის კვირეული“ (European Week of Sport – Be Active) დაიწყო. ღონისძიება ფლეშმობით გაიხსნა, რომელიც მაგიდის ჩოგბურთითა და ჭადრაკით გაგრძელდა. ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერი გოჩა ქაჯაია და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

# განათლების რეფორმა

*განათლების სისტემაში რეფორმების გატარება თითქმის ყოველთვის ხდება. მიმდინარე წელს რეფორმის ერთ-ერთი მთავარი სიახლე და შემოთავაზება პენსიონერ პედაგოგებს შეეხო.*

*განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების მთავარი მიმართულება სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებაზე პედაგოგთა პროფესიონალიზმის ამაღლებასა და მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. მეტი ყურადღება ეთმობა პენსიონერ პედაგოგებს, მათ (თუკი მათი სურვილი იქნება) უნდა ჰქონდეთ ღირსეული დასვენების უფლება და პირობები.*

*იმ პენსიონერ პედაგოგებს, რომლებიც სტატუსით პრაქტიკოსია, შეუძლიათ თავი დაანებონ სკოლას, ღირსეულად დატოვონ სკოლის კედლები და ჯილდოს სახით ორი წლის ხელფასი მიიღონ. მათ ასევე უნარჩუნდებათ უფლება ჩააბარონ სასერთიფიკატო გამოცდები. სიცოცხლის ბოლომდე ისარგებლონ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით. ამ შემოთავაზებას ბევრი პედაგოგი გამოეხმაურა.*

*ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან 56 პედგოგმა დატოვა სკოლა, თუმცა მათ ჯერ კიდევ შესწევთ უნარი ასწავლონ მომავალ თაობას, სკოლა მათი საუნჯეა, ბავშვები კი მათი ცხოვრების ნაწილი.*

*გაგაცნობთ ზოგიერთ პენსიონერ პედაგოგთა მოსაზრებას:*

***ალექსანდრე არჩაია,–საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, საერო აკადემია „ფაზისის“ ნამდვილი წევრი.***

ძალიან მომწონს „ახალი სკოლის“ მოდელი, რომელიც შემოგვთავაზა განათლების სამინისტრომ. ეს ახალი მოდელი ყოველი ჩვენთაგანისგან ითხოვს ენერგიულ და დაუღალავ შრომას. მე მჯერა და ღრმად მწამს ჩვენი მომავალი თაობის. სწორედ დღევანდელმა ახალგაზრდა კადრებმა უნდა თქვან თავიანთი წონადი სიტყვა განათლების რეფორმის ცხოვრებაში განხორციელების საქმეში, სკოლაში უნდა მოხდეს მათი ცოდნის, ენერგიისა და შემართების რეალიზაცია. ხელი უნდა შევუწყოთ მათ დასაქმებას. ისინი უნდა გახდნენ დაწყებული რეფორმის ერთგული ჯარისკაცები.

სკოლაში 6 ათეული წელი ვიმუშავე. მზად ვარ დავეხმარო და მხარში ამოვუდგე ახალგაზრდობას. მოსწავლეები მალე მიიღებენ ჩემი ავტორობით გამოცემულ მათემატიკის დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელიც დაეხმარება ყოველ მათგანს და ახალგაზრდა პედაგოგებს საგაკვეთილო პროცესის სრულყოფაში..

***ეთერი ესაკია-არჩაია,–ხობის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი.***

დღევანდელობა არის კოსმოსური სიჩქარეების, სწრაფი ინფორმაციის, ქიმიური ტექნოლოგიების და კომპიუტერიზაციის საუკუნე. სკოლის კურსდამთავრებული ჯეროვნად უნდა ერკვეოდეს ზემოთჩამოთვლილ პროცესებში. მოზარდმა უნდა შეძლოს შექმნილ სიტუაციაში სწორი დასკვნების გაკეთება. მე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ვცდილობდი მოსწავლეებში ჩამომეყალიბებინა კრიტიკული აზროვნების უნარი. მჯერა, ჩემი აღზრდილები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს პედაგოგის განხრით, რეფორმას მხარს აუბამენ და მყარად დადგებიან აღზრდის სათავეებთან.

ამჟამად პენსიონერი ვარ, მაგრამ სკოლის მიღმაც დამწყებ პედაგოგებს მხარში ამოვუდგები და ჩემს მდიდარ გამოცდილებას გავუზიარებ მათ. მჯერა და ღრმად მწამს ახალგაზრდა კადრები გამოცდილ პედაგოგებთან სრულყოფენ საგაკვეთილო პროცესს. ფართო გზა მივცეთ მათ ცოდნას და ენერგიას.

***თამარი ხუხია-კობახიძე–პირველი მაისის საჯარო სკოლა.***

უკვე 50 წელია ვმუშაობ სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. უკანასკნელ წლებში ვასწავლიდი სახვით და გამოყენებით ხელოვნებას.

ჩვენი სკოლა დიდი ტრადიციების მქონეა. წლების მანძილზე აქ ასწავლიდნენ შესანიშნავი მასწავლებლები. დიდი პატივი იყო ჩემთვის აქ მუშაობა. ჩემმა მეუღლემ–აწგანსვენებულმა დურუ კობახიძემ ასევე ათეულობით წლები გაატარა ამ სკოლის კედლებში.

ძნელია შენი საყვარელი საქმის მიტოვება. მიუხედავად იმისა, რომ 80 წელი შემისრულდა, მაინც გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება. ჯილდოსთვის კი მადლობის მეტი რა მეთქმის. მადლობა მთავრობას დაფასებისთვის!

***ლიანა ნაჭყებია–პირველი მაისის საჯარო სკოლა.***

1979 წლიდან ვასწავლიდი გეოგრაფიას. მრავალმა თაობამ გაიარა ჩემს ხელში. ვამყობ ამით! მიუხედავად იმისა, რომ ვარ 4 შვილის დედა და 9 შვილიშვილის ბებია, სასკოლო ცხოვრებას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა ჩემს ცხოვრებაში.

მადლობელი ვარ ჯილდოსთვის. ათეულობით წლების განმავლობაში ვინ მოთვლის რამდენმა ადამიანმა დატოვა სკოლა მაგრამ არ მახსენდება ასეთი ნაბიჯი სახელმწიფოსგან. ნამდვილად დასაფასებელია მასწავლებლის პროფესია. კარგია, რომ მასწავლებლის შრომას ფასი ედება.

ძალიან გამიძნელდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ წლები თავისას აკეთებს. კარგი იქნებოდა, თუ ამ ჯილდოს ყველა საპენსიო ასაკის მასწავლებელი მიიღებდა სკოლიდან წასვლისას.

***გულნარა კრავჩენკო–პირველი მაისის საჯარო სკოლა.***

1974 წლიდან ვმუშაობ. ვასწავლი რუსულ ენასა და ლიტერატურას. ძალიან მიყვარდა და მიყვარს ჩემი საქმე, მაგრამ არსებობს ცხოვრებაში მომენტები, როცა უნდა მიიღო ურთულესი გადაწყვეტილებები. სწორედ ასეთია ჩემთვის პედაგოგიური საქმიანობის შეწყვეტა სკოლაში. ეს გადაწყვეტილება მიღებული მქონდა, სექტემბრიდან არც ვაპირებდი მუშაობის გაგრძელებას. როცა შევიტყვე, რომ სახელმწიფო აპირებს ორი წლის ხელფასით დააჯილდოოს პენსიონერი პრაქტიკოსი პედაგოგები, გამიხარდა. მასწავლებლები, რომლებსაც სამოქალაქო ომის პერიოდშიც კი დღე არ გაუცდენიათ, უხელფასობის დროსაც კი არ შეუწყვეტიათ პროფესიული მოღვაწეობა, ნამდვილად იმსახურებდნენ ამ ჯილდოს.

ამ გადაწყვეტილებით გზას ვუთმობ ახალ თაობას პედაგოგის პროფესიაში შემოსასვლელად. სახელმწიფოსგან მიღებულ ჯილდოსაც ჩემს ოჯახს მოვახმარ. გასახარია ისიც, რომ სახელმწიფო მასწავლებლის დაზღვევის უფასო პაკეტს გვთავაზობს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ჩემს კოლეგებს, შესანიშნავ პედკოლექტივს, დირექციას! მადლობა სახელმწიფოს, რომელმაც დამაფასა!

***მიმოზა მალანია–ქარიატის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი:***

ახალგაზრდობიდან მასწავლებელი ვარ. ეს ფაქტიურად, მთელი ჩემი ცხოვრებაა. 22 წლის ვიყავი პირველად გაკვეთილი რომ ავხსენი და მივხვდი, მე ეს უნდა გამეკეთებინა. ჯერ აფხაზეთში, სოფელ შრომის საშუალო სკოლაში ვმუშაობდი, მერე ბედის ირონიით, ქარიატაში აღმოვჩნდი და აქ გავაგრძელე საქმიანობა. ქარიატის სკოლამ თბილად, სიყვარულით მიმიღო. ცხოვრებამ ბევრი ბრძოლა შემომთავაზა, მაგრამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პედაგოგობა იყო, თან სასიამოვნო ბრძოლა.

ასაკს ვერაფერი შეაჩერებს და 67-ე წელი შემომეპარა. არაა მცირე ასაკი და დასვენებაზე დავიწყე ფიქრი, მაგრამ, როგორღაც გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება. კიდევ ერთი წელი შემოვრჩი სკოლას.

ზოგადად, მასწავლებლებს ძალიან გვიჭირს ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ისეთი ღირსეული და საინტერესო ფორმა შემოგვთავაზა პენსიონრებს სახელმწიფომ, ვერც კი ვიფიქრებდი ასეთ რამეზე. უბრალოდ, პენსიაზე კი არ გამიშვეს, ჯილდოს, დაფასების ფორმა მისცეს, მატერიალური დაინტერესებაც ზედ დაამატეს და გადაწყვეტილებაც უპრობლემოდ, ზედმეტი ნერვიულობისა და შფოთვის გარეშე მივიღე. ღირსეულ ახალგაზრდებს რა დალევს, ახალი კადრი შემოვა სკოლაში და გააგრძელებს ჩვენს საქმეს.

დიდი მადლობა ასეთი ღირსეული ჟესტისთვის საქართველოს მთავრობას, განათლების სისტემის მესვეურთ.

***ციალა ხუნჯუა-არზიანი–საჯიჯაოს საჯარო სკოლა.***

ვსწავლობდი ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში ინგლისური ენის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩამოვედი ხობში და მუშაობა დავიწყე ხეთის საშუალო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად. ხეთაში ვიმუშავე 22 წელი. შემდეგ მუშაობა დავიწყე პირველი გურიფულის სკოლა-გიმნაზიაში. იქ ვასწავლიდი 10 წელი. ვღებულობდი პროექტებში მონაწილეობას, სადაც ვიმარჯვებდი კიდეც. სკოლების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით გადავედი ხობის №1 საჯარო სკოლაში. 2 წელი იქ ვიმუშავე. ვინაიდან ინგლისური ენის სპეციალისტების ნაკლებობის გამო სკოლებში ძირითადად ისწავლებოდა გერმანული ენა. ინგლისური ენის სწავლება შემოიღო ხობის რაიონის განათლების განყოფილებამ იმ სკოლებში, სადაც ვასწავლიდი: ეს იყო ხეთის, გურიფულის, ბიის და საჯიჯაოს სკოლები. შემდგომ უკვე ეროვნული სასწავლო გეგმით ინგლისური ენა გახდა პირველი სავალდებულო უცხო ენა.

ძალიან მომეწონა სახელმწიფოს ინიციატივა საპენსიო ასაკის პედაგოგების დაჯილდოების შესახებ. ეს არის უპრეცენდენტო შემთხვევა, როცა ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება ფულადი ჯილდო გადაეცა მასწავლებლებისთვის, რომლების მრავალი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდნენ მომავალ თაობას და ქვეყანას, რისთვისაც მადლიერებას გამოვთქვამთ ხანდაზმული პედაგოგები.

**გვერდი მოამზადა ნანი კილასონიამ**

***„ხობის მოამბე“ იწყებს რუბრიკას „იცოდე კანონი, იქნები დაცული“. რუბრიკის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ნაადრევი ქორწინება, გენდერული თანასწორობა, ბულინგი.***

***რუბრიკისთვის ინფორმაციას მოგვაწვდის ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში თამუნა სიჭინავა.***

# „იცოდე კანონი, იქნები დაცული“

**რა არის ოჯახში ძალადობა?**

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

**რა არის ქალთა მიმართ ძალადობა?**

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისთვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

**ძალადობის რა ფორმები არსებობს?**

ძალადობის ფორმებია: ფიზიკური ძალადობა: ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს. **ფსიქოლოგიური ძალადობა:** შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს;

**ეკონომიკური ძალადობა:** ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით შეზღუდვას. **სექსუალური ძალადობა: სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით.** სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ; იძულება: ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება, ან რომლისგან თავის შეკავება, მისი უფლებაა, ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. უგულებელყოფა: მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა მაშინ, როდესაც მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელიც მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.

# როგორ ავიცილოთ თავიდან ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება?

ყირიმ-კონგოს ცხელება არის ვირუსული დაავადება, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს, როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებშიც. ავადდებიან შინაური და გარეული ძუძუმწოვარი ცხოველები, ასევე მღრღნელებიც (ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა, ძაღლი, თაგვი და სხვა).

დაავადება მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ ინფექციებს, გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, თუმცა უფრო ნაკლებად ვიდრე სხვა ქვეყანებში. ჩვენთან დაავადების შემთხვევები გვხვდება შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, რაჭა-ლეჩხუმში, თბილისში. 2018 წელს დარეგისტრირებულია ადამიანების დაავადების 12 შემთხვევა, რომელთაგან სამ შემთხვევაში ლეტალური გამოსავალი დაფიქსირდა. მიმდინარე წელს ადამიანის გარდაცვალების უკვე მესამე შემთხვევაა დარეგისტრირებული. სწორედ ამიტომ ადამიანებში დაავადების პრევენციის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი ჰიგიენის დაცვას, ცხოველების მოვლას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ცხოველს ტკიპა მოვაცილოთ ხელით. ის უნდა მოცილდეს პინცეტით ან სხვა საშუალებით. ყველაზე კარგია ცხოველების შეწამლვა სპეციალური საშუალებით. ყოველ 15-20 დღეში ერთხელ, გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში, ამით ცხოველები განთავისუფლდება ტკიპებისაგან და ადამიანიც აღარ დაინფიცირდება.

დაავადების საწყისი სიმპტომია მოულოდნელი შეციებება, ტემპერატურის 39-40 გრადუსამდე აწევა, იწყება კუნთების და თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი, გულისრევა, ღებინება, დიარეა, ვითარდება სისხლის ჩაქცევები კანზე, სისხლდენა ცხვირიდან, ღრძილებდან, საშვილოსნოდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან.

დაავადება ადამიანში მძიმედ მიმდინარეობს და დროული მკურნალობის ჩატარების გარეშე 30-40 პროცენტი სიკვდილით მთავრდება. დაავადების მაღალი რისკის ქვეშ არიან პირუტყვის მომვლელები, მწყემსები, დაავადება გადაეცემა ადამიანიდან ადამიანსაც.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელებით დაავადებულ ცხოველს კლინიკური ნიშნები არ აღენიშნება.

დაავადება ვრცელდება ტკიპების (Mualomma) სახეობის საშუალებით. დაავადება რომ გავრცელდეს, ჯერ ტკიპამ უნდა უკბინოს დაავადებულ ცხოველს, შემდეგ ადამიანს. ადამიანებში დაავადება ვლინდება ინფიცირებული ტკიპის კბენიდან 1–9 დღის განმავლობაში (კბენა, ტკიპის ხელით მოცილებისას, გაჭყლეტილ ტკიპასთან შეხება) ასევე დაინფიცირებული ცხოველის დაკვლის დროს კონტაქტის შედეგად.

ცხოველების ორგანიზმში ვირუსის მოკლე პერიოდის განმავლობაში ცირკულირების და კლინიკური ნიშნების არქონის გამო ცხოველები მკურნალობას არ ექვემდებარებიან.

ადამიანებში დროულად დასმული დიაგნოზი და ადრე დაწყებული მკურნალობა კეთილსაიმედოა.

**როგორ დავიცვათ თავი მრისხანე დაავადებისაგან:**

–ცხოველებში ტკიპების გაჩენისთანავე წლის თბილ და ცხელ პერიოდში ყოველ 15–20 დღეში ერთხელ დავამუშაოთ ცხოველები და მათი სადგომები, დახურული დამხმარე სათავსოები ინსექტოაკარიციდული ტკიპების საწინააღმდეგო საშუალებებით.

–ამ ტერიტორიაზე, სადაც ბალახის მაღალი საფარია, მიზანშეწონილია ატაროთ გრძელსახელოიანი ტანსაცმელი, გრძელი შარვალი და დახურული ფეხსაცმელი.

–სახლში დაბრუნებისას შეამოწმეთ უნდა ტანსაცმელი და სხეული ტკიპას არსებობაზე.

–ცხოველებს ტკიპები მოაშორეთ ხელთათმანის და პინცეტის გამოყენებით, მოცილებისას შეეცადეთ არ გაჭყლიტოთ ტკიპები.

–დაავადების მსგავსი სიპტომების შემთხვევაში ადამიანებმა დაუყონებლივ უნდა მიმართონ სამედიცინო დაწესებულებებს.

დაავადების საწინააღმდეგო სპეციფიკური ვაქცინა არ არსებობს.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე.***

# სულთათანა

## ნაირა ბუკია–დოლბაია

ჩვენო უსაყვარლესო ადამიანო, რედაქციის ბერმუხავ, ჩვენო ნაირა, გვიმძიმს თქვენი გარდაცვალება. ერთმანეთთან თბილი, სიყვარულიანი ურთიერთობები ათეული წელი გვაკავშირებდა. რედაქცია თითოეული ჩვენთაგანისთვის მეორე ოჯახი იყო და თქვენ, როგორც რედაქტორი, გვმოძღვრავდით და ერთად საერთო საქმეს ვაკეთებდით.

ჩვენი გაზეთი რეგიონში და რესპუბლიკაში დაფასებული და გამორჩეული იყო, რაც ყველას, ყველა თაობის ჟურნალისტს გვეამაყებოდა.

თქვენი ცხოვრების გზა, სკოლასა და ინსტიტუტის შემდეგ ხეთაში პიონერთხელმძღვანელობიდან დაიწყო. შემდეგ როგორც ნიჭიერმა და მონდომებულმა ახალგაზრდამ განვლეთ კომკავშირული გზა. იყავით კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი. შემდეგ პარტიის რაიკომში გადაინაცვლეთ, გახდით პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე... წლების შემდეგ განათლების სისტემაში იღვაწეთ. ბოლოს გაზეთის რედაქცია გახდა თქვენი ნავსაყუდელი. გაზეთის გამოცემა იყო თქვენთვის ნომერ პირველი საქმე... გავიდა წლები და თქვენ რედაქციიდან წახვედით, მაგრამ მაინც რედაქციელების ნამდვილი მეგობარი, ახლობელი და გაზეთის ყოველი ნომრის ერთ-ერთი პირველი მკითხველი და შემფასებელი იყავით.

ჩვენ, თითოეულ რედაქციელს თქვენთან მეგობრული, დედაშვილური და საქმიანი ურთიერთობები გვქონდა და ამით ვამაყობდით. თქვენი ნახვა და რედაქციაში მოსვლა გვიხაროდა...

ჩვენი გაზეთი თქვენთვის განუყოფელი და ახლობელი გახლდათ. რედაქციიდან თქვენი წასვლა როგორც თქვენთვის, ჩვენთვისაც ტკივილის ტოლფასი იყო, თუმცა ამით ურთიერთობები არ განელებულა.

ნაირა, თქვენ ხომ გაზეთით ცხოვრობდით ათეული წელი, იყავით ჟურნალისტთა საკავშირო და რესპუბლიკური კავშირის წევრი. ჟურნალისტთა თავყრილობებში მრავალგზის მიგიღიათ მონაწილეობა.

დროისა და გარემოებების გამო ბევრი რამ შეიცვალა. ახლა გაზეთში ცოტანი დავრჩით, მაგრამ დრომ ვერ წაიღო ის სიყვარული და ურთიერთობები, რაც ჩვენს შორის იყო.

ქალბატონო ნაირა, თქვენ ხობში გამორჩეული ოჯახის რძალი, უგანათლებულესი ვახტანგ დოლბაიას მეუღლე ბრძანდებოდით. იყავით შესანიშნავი შვილების დედა. ვაგლახ, ვერ იხილეთ შვილების ბედნიერება, რაც ძალზე გაღელვებდათ.

გემშვიდობებით საყვარელო ადამიანო, ჩვენო ნაირა. ძალიან დაგვაკლდები. თქვენს თენგოსთან და ეკასთან ისევ ისეთი თბილი და კეთილშობილური განწყობით ვიქნებით.

გეფერებით... თქვენს ყოველ დაბადების დღეს მილოცვის ნაცვლად თბილ მოგონებებს დაგიწერთ ნიშნად დიდი პატივისცემისა და სიყვარულისა.

ხობელ ინტელიგენციას, რეგიონის ყოფილ კოლეგებს დიდხანს, ძალიან დიდხანს დაამახსოვრდებით...

***მშვიდობით, ნაირა!***

***„ხობისმოამბელები“.***

## „გადასახურავი“

### (გენო ტორჩინავას და ბადრი ლატარიას ხსოვნას)

საუბედურო სიკვდილი მოგვეჩვია და სამწუხაროდ, ჩვენც შევეჩვიეთ სიკვდილს, თითქოს არაფერი გვიკვირს, თითქოს ნუგეშისცემისა და თანაგრძნობისთვის ვერ ვიცლით. გულგრილები, უფრო მეტიც, ხშირად გულცივებიც გავხდით, „სხვისი“ მწუხარებისა და უბედურების მიმართ...

ჩვენს უსასოო ყოველდღიურობაში ჩავიკეტეთ–„სხვისი ჭირი–ღობეს ჩხირი“ დაგვმართა ვიღაცამ თითქოს.

30 წლის წინათ, ცა ჩამოიქცა ხობში, ქალაქის ორი გამორჩეული პიროვნება, ორი კოლორიტი და რაინდი, ორი ღირსეული კოლხი, ხობის აღმაშენებლები და ხობელთა სტუმრების უპირველესი მასპინძლები–გენო ტორჩინავა და ბადრი ლატარია („ლევანიჩი“) საშინელ ავარიაში დაიღუპნენ. მათ მანქანას, რკინიგზის გადასასვლელზე მატარებელმა გადაუარა... (ერთი ზუგდიდელი ახალგაზრდა ე. ქობალიაც გარდაიცვალა), ხოლო ჟორა ქაქუთია მაშინ ღმერთმა გადაარჩინა.

ქალაქი თითქოს დაპატარავდა, დაიცალა, გლოვამ მოიცვა ხობი, „იქით“, აფხაზეთშიც აირია ყველაფერი. ეს ტრაგიკული ამბავიც „მინიშნება“ რომ იყო, რაც წლები გადის, უფრო და უფრო მჯერა. ხობელებს აფხაზეთთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა, ჭირსა და ლხინში ხშირად ვიყავით ერთად. აფხაზეთიდან ვერავინ ჩამოვიდა გასვენებაზე...

კარის მეზობლებიც იყვნენ გენო და ბადრი. გენო შაბათს დავკრძალეთ, ბადრი–კვირას, ყველა ხარჯი მეგობრებმა გაიღეს...

...ქალაქში ერთი სულით ავადმყოფი გვყავდა, უბოროტო, წყნარი, თავისებურად კეთილი, ქალაქის „კოლორიტი“, ასევე ქალაქის კოლორიტებთან შეჩვეული, მისთვის ყველა ღირსეული ხობელი „ძმაკაცი“ იყო.

...და შაბათს გენოს გასვენებაზე, სერგო მარტო მოვიდა, ჭიშკართან ქუდი მიწას დაახეთქა, თავში ხელები წაიშინა, გენოს გამოემშვიდობა, ჩვენ მოგვისამძიმრა–„ვავა–გენო, ვავა–გენოს“–მოთქმით გვერდზე გავიყვანე, ერთი მანეთიანი ამოიღო (საუბედუროდ, დიდად ვერ ცნობდა ფულს), მიგვახვედრა–„სად არის „გადასახურავის“ ჩაწერა, ფული უნდა ჩავწეროო“?!

სერგო! არაა ფულის წერა, არავინ არ წერსო ვუთხარით. თავისთვის ბუტბუტებდა –„ვალი, ვალიო“–ვალის გადახდა უნდოდა, გენოსა და ბადრისგან პატივისცემა, რომ ახსოვდა იმ ვალის. არ იქნა საშველი–გულამოსკვნილად ტიროდა. მოვატანინეთ ცარიელი რვეული და სერგომ ერთი მანეთი „ჩაწერა“...

...იმ რვეულში სერგო მ.....ე ერთადერთი იყო სიაში...

მაშინ გამომრჩა, ვერ მოვიკითხე, ახლა ვფიქრობ, ნეტავ ვინ შეინახა რელიქვიად გენო ტორჩინავასა და ბადრი ლატარიას, ამ ბრწყინვალე ვაჟკაცების, ჭეშმარიტი კოლხების დამფასებელი, სულით ავადმყოფი ადამიანის, იმ საყოველთაო უბედურების ჟამს მომენტალურად განკაცებული ანგელოზის, „ავტოგრაფიანი“ რვეული!!!

***ედიშერ წურწუმია.***

## ნაირა ბუკია–დოლბაია



ჩვენო უსაყვარლესო ადამიანო, რედაქციის ბერმუხავ, ჩვენო ნაირა, გვიმძიმს თქვენი გარდაცვალება. ერთმანეთთან თბილი, სიყვარულიანი ურთიერთობები ათეული წელი გვაკავშირებდა. რედაქცია თითოეული ჩვენთაგანისთვის მეორე ოჯახი იყო და თქვენ, როგორც რედაქტორი, გვმოძღვრავდით და ერთად საერთო საქმეს ვაკეთებდით.

ჩვენი გაზეთი რეგიონში და რესპუბლიკაში დაფასებული და გამორჩეული იყო, რაც ყველას, ყველა თაობის ჟურნალისტს გვეამაყებოდა.

თქვენი ცხოვრების გზა, სკოლასა და ინსტიტუტის შემდეგ ხეთაში პიონერთხელმძღვანელობიდან დაიწყო. შემდეგ როგორც ნიჭიერმა და მონდომებულმა ახალგაზრდამ განვლეთ კომკავშირული გზა. იყავით კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი. შემდეგ პარტიის რაიკომში გადაინაცვლეთ, გახდით პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე... წლების შემდეგ განათლების სისტემაში იღვაწეთ. ბოლოს გაზეთის რედაქცია გახდა თქვენი ნავსაყუდელი. გაზეთის გამოცემა იყო თქვენთვის ნომერ პირველი საქმე... გავიდა წლები და თქვენ რედაქციიდან წახვედით, მაგრამ მაინც რედაქციელების ნამდვილი მეგობარი, ახლობელი და გაზეთის ყოველი ნომრის ერთ-ერთი პირველი მკითხველი და შემფასებელი იყავით.

ჩვენ, თითოეულ რედაქციელს თქვენთან მეგობრული, დედაშვილური და საქმიანი ურთიერთობები გვქონდა და ამით ვამაყობდით. თქვენი ნახვა და რედაქციაში მოსვლა გვიხაროდა...

ჩვენი გაზეთი თქვენთვის განუყოფელი და ახლობელი გახლდათ. რედაქციიდან თქვენი წასვლა როგორც თქვენთვის, ჩვენთვისაც ტკივილის ტოლფასი იყო, თუმცა ამით ურთიერთობები არ განელებულა.

ნაირა, თქვენ ხომ გაზეთით ცხოვრობდით ათეული წელი, იყავით ჟურნალისტთა საკავშირო და რესპუბლიკური კავშირის წევრი. ჟურნალისტთა თავყრილობებში მრავალგზის მიგიღიათ მონაწილეობა.

დროისა და გარემოებების გამო ბევრი რამ შეიცვალა. ახლა გაზეთში ცოტანი დავრჩით, მაგრამ დრომ ვერ წაიღო ის სიყვარული და ურთიერთობები, რაც ჩვენს შორის იყო.

ქალბატონო ნაირა, თქვენ ხობში გამორჩეული ოჯახის რძალი, უგანათლებულესი ვახტანგ დოლბაიას მეუღლე ბრძანდებოდით. იყავით შესანიშნავი შვილების დედა. ვაგლახ, ვერ იხილეთ შვილების ბედნიერება, რაც ძალზე გაღელვებდათ.

გემშვიდობებით საყვარელო ადამიანო, ჩვენო ნაირა. ძალიან დაგვაკლდები. თქვენს თენგოსთან და ეკასთან ისევ ისეთი თბილი და კეთილშობილური განწყობით ვიქნებით.

გეფერებით... თქვენს ყოველ დაბადების დღეს მილოცვის ნაცვლად თბილ მოგონებებს დაგიწერთ ნიშნად დიდი პატივისცემისა და სიყვარულისა.

ხობელ ინტელიგენციას, რეგიონის ყოფილ კოლეგებს დიდხანს, ძალიან დიდხანს დაამახსოვრდებით...

***მშვიდობით, ნაირა!***

***„ხობისმოამბელები“.***

## გენადი შონია



შონიების დიდ და დიდებულ საგვარეულოს სახელოვანი, წლებით დაბრძენებული, გულკეთილი და ზნეკეთილი ადამიანი გენადი შონია გამოაკლდა.

მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილს თითქოს უფალმა (ალბათ, მშობლებმაც) დაანათლაო სიკეთის კეთების სურვილი... იყო წლები, როცა გენადის გულისხმიერებაზე ხალხი საუბრობდა, ეიმედებოდათ რადგან ჩუმი და უხმაურო თანადგომა იცოდა.

გენადი შონია ბუნებით თავმდაბალი კაცი იყო. სხვა მრავალთაგან მისი ერთი დიდი ღირსება მიმტევებლობა გახლდათ. მას უამრავი ნათელი დღე უჩუქნია გაჭირვებულისთვის, ტკივილმისჯილისთვის დარდი შეუმსუბუქებია, ობლისთვის სიყვარული და სითბო უჩუქნია.

დიდი მწერალი ამბობდა: „კაცი საფლავზე დადებული ქვით კი არ ფასობს, აქ დატოვებული სახელითა და სულითო“. გენადის დატოვებულ სახელს სიამაყით წარიმძღვარებს მისი ასევე დიდებული მეუღლე, ორი გულღიმილიანი ვაჟიშვილის ოჯახი...

ძნელია, თავი მოუყარო სათქმელს... მართალია 80-ის მიახლოებაც არ იყო ადვილი, ჯანმრთელობაც შეერყა და წლებიც დაუმძიმდა, მაგრამ ამქვეყნიდან წასვლა და თვალხატულა შვილიშვილებთან განშორებაზე არც უფიქრია... თითქოს უეცრად დაიხურა ლამაზი ცხოვრების კარიბჭე, ისევე ლამაზად, როგორც იცხოვრა.

დასანანია, გულწრფელად მტკივა ის დრო, როცა ვალიკო კილასონია, ვახტანგ დოლბაია, ვალტერ ბერაია, ნოდარ და ველოდი შონიები, კარლო კორტავა, შალვა ხარებავა, დიდებული ქალბატონები თამარ ჩაგვავა, საშა ბერაია, ნელი და ნაირა ბუკიები და მრავალი სახელოვანი ადამიანი ასაკით უმცროსებს გვილამაზებდნენ ცხოვრებას, გვასწავლიდნენ როგორ მოვფერებოდით ერთმანეთს...

უფალმა ასე ინება, გენადი შონია დღევანდელობის მაცნედ შეუერთდა იმ დიდ კოჰორტას, რომელთა სახელებს ხობელთა არცერთი თაობა არასოდეს დაივიწყებს...

ჩვენ, რედაქციელები, ვწუხვართ და ვუთანაგრძნობთ გენადი შონიას ოჯახს და ახლობლებს. ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

**მერი ლაგვილავა.**

## გოგა ლატარია

ჩემო სიცოცხლევ, როგორ მენატრები... როგორ ვცდილობ ჩუმად ვიყო... მსახიობად მაქციე, უნიჭო მსახიობად. მომენატრე, მოგიკვდეს დედა. როდის მოვალ შენამდე?!

შენ წახვედი... მე „დავრჩი“... არასოდეს დაგისვამ კითხვას რატომ წახვედი?! მე „დავრჩი“ ნაკუწებად ქცეული გულით.უნდა შევაკოწიწებინო, როგორმე უნდა შევძლო შენს გამო, თქვენს გამო დედა... უნდა დავრჩე. უნდა მოგხედო, უნდა მოგეფერო, უნდა გაგიმართლო იმედები... როგორ მიყვარხარ როგორ...

მადლობა შენი დედობისთვის, შენი სისხლი და ხორცობისთვის, იმისთვის რომ მიადვილებ შენსკენ სავალ გზას.

ახლა კი უბრალოდ მოგიკვდეს დედა. ჩემო იმედო და ჩემო მოუშუშებელო ტკივილო. როგორ მენატრები ჩემო საფიცარო!

**ნარგიზა ლატარია.**

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, გაზეთ „ხობის მოამბეს“ ყოფილი რედაქტორი

**ნაირა ბეგლარის ასული ბუკია-დოლბაია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იუწყება, რომ გარდაიცვალა ხობის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი

**შალდი (გენადი) სიმონის ძე შონია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს

# სულთათანა

## რამაზი კიტია

რა მალე გარბიან დროის ურჩი წამები... სადღაც მიიჩქარიან და თან მიაქვთ წარსულ დროთა განვლილი დარდები...

2008 წლის 21 სექტემბერი... 11 წელი გავიდა იმ დღიდან, როცა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ხურჩას ტერიტორიაზე, სნაიპერის მიერ გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა ხობის რაიონული სამმართველოს თანამშრომელი რამაზ კიტია.

21 სექტემბერი, დღე, რომელიც დიდი ტკივილისა და სევდის მომტანი იყო თითოეული ჩვენთაგანისთვის. განსაკუთრებით კი მისი ოჯახისთვის.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს, გორის გზაზე ტრაგიკულად დაიღუპნენ რამაზ კიტიას მამა, სიდედრი და სიმამრი.

...რამაზ, ძნელია ვისაუბრო წარსულ დროში შენზე. ბედისწერის ულმობელმა ძალამ წარიტაცა ჩვენი თბილი, მუდამ მომღიმარი და მოსიყვარულე კეთილი ადამიანი. უხდებოდი სიცოცხლეს, სჭირდებოდი შენს ოჯახს. მამის სიკვდილის შემდეგ, შენ ხომ ერთადერთი იმედი იყავი შენი ოჯახისთვის. სჭირდებოდი შენს მეუღლეს და ტყუპებს, გიორგისა და ლუკას, რომლებიც გმირი დედის გვერდით დგომით უკვე ვაუკაცი ბიჭები გაიზარდნენ. მათ შემყურეს გიხაროდა სიცოცხლე...

გიხსენებთ რამაზ და გული გვწყდება, ჩვენს გვერდით რომ აღარ ხარ. ვერასოდეს შევეგუებით შენს სიკვდილს, შენ მხოლოდ ფერი იცვალე... შენგან დატოებული სიკეთე და სიყვარული გინათებდეს გზას მარადიული სასუფევლისკენ... ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული უფალმა. ჩვენ მუდამ სიყვარულით მოგიგონებთ.

## ლევან კიკალეიშვილი

„თქვენგან წასული არა
ვარ, არა,
ეს მხოლოდ ჩემი
დასასრულია,
დილით მზის სხივი რომ
მოგანათებთ
იცოდეთ, რომ ეს ჩემი
სულია.
ადრე წავედი გატკინეთ
გული,
მე არ მინდოდა, ღვთის
სურვილია.
გამაგრდით ყველა, ვისაც
გიყვარვართ,
აქ ჩემთან მუდამ
გაზაფხულია“.

წამია წუთისოფელი... არაერთხელ დავრწმუნებულვარ ამ ცხოვრებისეულ რეალობაში, მაგრამ ვერასოდეს დავეთანხმები აზრს, თითქოს დრო ყველანაირი ტკივილის მკურნალი იყოს.

ლევან! ერთი წელი გავიდა, რაც ამ წუთისოფლიდან მარადიულში გადაინაცვლე. წარსულ ბედნიერ დღეთა, სევდანარევ მოგონებად და თანმდევ ტკივილად გაქცია დრომ... არ ვიცი, ამ წუთისოფელს მარადიული რამდენად სჯობია, მაგრამ ვიცი მხოლოდ ის, რომ ნაადრევად, საფლავი უკანასკნელი ბინა აღმოჩნდა შენთვის. მაგრამ შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერავინ შეავსებს, როგორიც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგაც არ მიეცემი დავიწყებას ჩემო პატარა ძამიკო... ძნელია, ისაუბრო წარსულ დროში ისეთ თბილ, კეთილ ადამიანზე, როგორიც შენ იყავი ლევან! არადა, რაოდენ სანატრელია ის წუთი და ის წამები, როდესაც იგონებ წარსულ დროს– შენს ბავშვობას, შენს კეთილ, მუდამ თბილ, ღიმილიან და იუმორით აღსავსე ხასიათს. ძალიან გვაკლიხარ. უსაზღვრო ტკივილი ხარ თითოეული ჩვენთაგანისთვის ცხოვრება გრძელდება... ბედისწერა ვერ ხსნის სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს. ადამიანის გონება ვერ სწვდება უფლის განგებას, თუ სად მთავრდება სიცოცხლე და სად გრძელდება მარადიული არსებობა.

რადგან სიცოცხლეს მაშინ აქვს ფასი,
როცა მკვდარს ცრემლი დაედინება.
დღეს შენს საფლავთან სანთელს ავანთებთ,
შენი მფარველი ღმერთი იქნება!

*ზორენა თოდუა.*

## ომეხი ალანია



მაისი შენი დაბადების თვეა და სწორედ ამ თვეს შეწყდა შენი სიცოცხლე. ამას გრძნობდი. დროის გასვლის შემდეგ სხვადასხვა მიზეზით, გამოსათხოვარი ვერ დაგიწერე. ახლა არჩევანი ერთია, მუდამ მოგიგონო და გაგიხსენო!

23 წელი ავადმყოფობდი, ბოლო 3 წელი კი ლოგინს იყავი მიჯაჭვული. ოჯახი ყველაფერს აკეთებდა, რომ გემკურნალა და სიცოცხლეზე გეფიქრა. როცა მძიმე ავადმყოფი ხარ, სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის ბრძოლაში უძლური ხდები. როცა კარზე სიკვდილი მოგიკაკუნებს, მას უნდა დაემორჩილო.

88 წლის ასაკში შეწყდა შენი სიცოცხლე. თუმცა, როცა საყვარელ ადამიანს კარგავ, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს. მუდამ შენს გვერდით ვიყავი. რამდენი წლის უძილო ღამე, ნერვიულობა, სტრესი და ფიზიკური გადაღლა, ეს ხომ ჩვენ ერთად ვიწვნიეთ.

თამამად ვამბობ, შენ მარტო მეუღლე კი არა, კარგი მეგობარიც იყავი. ჩვენს შორის ერთმანეთის მიმართ თანადგომა, პატივისცემა და სიყვარული იყო. ამასობაში ფიზიკურად გადავიღალე, მინდოდა სიკვდილის ბოლო წუთამდე, ერთად ვყოფილ-ვიყავით. მიუხედავად ექიმების დაჟინებული მოთხოვნისა, რომ მემკურნალა, არ მიგატოვე. შეწყდა შენი სიცოცხლე, ჩემს ხელში დალიე სული.

სადაც გვიმუშავნია, ყველაგან სიკეთეს ვთესდით. გვიყვარდა ხობი, ხობელებიც, რადგან შესანიშნავ განათლებულ ადამიანებთან, ხობის ელიტასთან გვქონდა ახლო შეხება.

ვცხოვრობდით პატარა სოფელში, გვქონდა ლამაზად კოხტად მოწესრიგებული კარმიდამო. გაიზარდა ოჯახი, ვხარობდით შვილებითა და შვილიშვილებით.

ოჯახისგან დიდი მადლობა ექიმებს: უროლოგ მურმან ბაბილუას, კარდიოლოგ ირინა ბერაიას, თერაპევტებს მარიკა ლატარიას და თამარ მხეიძეს ყოველდღიური რჩევისა და კონსულტაციებისთვის. მათ დიდი შრომა და მკურნალობა გასწიეს შენი სიცოცხლის გადასარჩენად.

მადლობა სოფლის მედდა სოფიკო პაჭკორიას, მძიმე წუთებში გვერდით დგომისთვის.

დადგა ყველაზე მძიმე პერიოდი. 55 წლის ნაჯაფი პატარა ოჯახიდან გაცილება, როცა ეზოში დაგასვენეს წაქცევამდე ვიყავი, მაგრამ ვამხნევებდი ჩემს თავს, რომ სულით არ დავცემულიყავი და სასაფლაომდე მიმეცილებინე.

ასეთი მდგომარეობიდან ბატონ მერაბ სალაყაიამ გამომიყვანა. მან ოჯახს თხოვა კოლეგისთვის გამოსათხოვარი სიტყვა ეთქვა.

მერაბმა სოფელს, ხობის რაიონის საზოგადოებას იმ დღეს მოსულ სტუმრებს ამცნო თუ ვინ იყო ომეხი ალანია. შეახსენა ოჯახს, შვილებსა და შვილიშვილებს, როგორი მეუღლე, მზრუნველი მამა და საყვარელი ბაბუა ყავდათ.

გპირდები ომეხ, სანამ შემიძლია ჯოხით ხელში გავყვები სოფლის ახალდაგებულ გზას და ავალ სასაფლაოზე, სადაც მაღლივ გადმოყურებს ლამაზი, გარემონტებული, რესტავრირებული კოხტად მოწყობილი წმინდა გიორგის ეკლესია. ავანთებ წმინდა სანთელს შენი სულის მოსახსენებლად.

შენი მონაგარი კი სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ, ისევ ვალს იხდიან მათზე შენი გაწეული შრომისა და ამაგისთვის.

ხშირად მივალ შენს საფლავთან და მოგინახულებ. შენი ადგილი მხოლოდ სამოთხეშია.

კურთხეულიყოს ის მიწა-საფლავი, სადაც განისვენებ.

მოგიგონებ და არც დამავიწყდები.

*სიყვარულით შენი მეუღლე*
*გულიანა ბუკია–ალანია.*

## გიორგი ჯობავა

ყველასთვის ერთგულებისა და სიყვარულის სიმბოლოვ, ჩვენო საყვარელო გიორგი, გვიყვარხარ და გვენატრები ყველას. დრო მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ იმ ტკივილს, რომელიც შენს ხსენებას თან ახლავს, დრო ვერ განკურნავს.

არ გვჯერა, რომ ჩვენს გვერდით არა ხარ. გვიჭირს უშენობა. სევდამ და სიცარიელემ დაისადგურა შუა ხორგის საჯარო სკოლის მეცხრე კლასში. თანაკლასელებს შენზე მხოლოდ კარგი მოგონებები დაგვრჩა.

როგორ წარმატებულად გესახებოდა მომავალი, დიდ ფეხბურთზე ოცნებობდი. უეცრად, მოულოდნელად ვერაგმა მდინარემ გააქრო შენი სიცოცხლე, როგორც ციდან მოწყვეტილი ვარსკვლკავი. ასე სწრაფად როგორ დანებდი სიკვდილს? დატოვე უზომოდ დამწუხრებული დედა, მამა, ახლობლები, მეგობრები.

არ გვინდა შენზე წარსულში ვილაპარაკოთ. შენი სიყვარული არასოდეს გაქრება ჩვენს გულებში. ეს წლევანდელი სწავლის დაწყების პირველი დღე სევდიანმა შეხვედრამაც დაადასტურა.

დაე, ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადისობაში. ღმერთმა ცათა სასუფეველში დაგიმკვიდროს ადგილი.

იძინე მშვიდად, ჩვენო ზღვასავით დაუდეგარო მეგობარო!

*შენი თანაკლასელები.*

ვულოცავთ!

## ნათელა ალანიას დამსახურებული ფინანსისტის წოდება მიენიჭა

20-22 სექტემბერს, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სასტუმრო „კაჭრეთის ამბასადორში“ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის“ რიგით XII კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციაზე, ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ხოსრუაშვილმა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსს, ნათელა ალანიას დამსახურებული ფინანსისტის წოდება მიანიჭა.

აღნიშნულ ღონისძიებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები, ისრაელის, გერმანიისა და უკრაინის ფინანსისტთა ასოციაციის დელეგატები ესწრებოდნენ.

შეხვედრა 20 წლის შემდეგ

# მოსალოცი ბარათი ჩემს თანაკლასელებს

ვულოცავ ჩემს ძვირფას თანაკლასელებს სკოლის დამთავრების მრგვალსა და ძვირფას თარიღს. ჩემს ულამაზეს, უჭკვიანეს და ღირსებით წელგამართულ თანაკლასელებს, რომლებიც გამოკვეთილი სიწრფელითა და სიყვარულით ასრულებენ მოქალაქეობრივ მოვალეობას.

1989 წლის ხობის №1 საშუალო სკოლის გამოშვება, არა მხოლოდ ჩემი და ჩემი მეგობრების, არამედ ძალიან ბევრი ჭკვიანი მოქალაქის დასკვნით, იყო ერთ-ერთი გამორჩეული და ყოველმხრივ აღმატებული კლასი. არა მხოლოდ აკადემიური მოსწრებითა და ინტელექტუალური სიმაღლით, არამედ უბრალოებაში აღქმული ადამიანური სიყვარულით, როგორც ერთმანეთის, ასევე პედაგოგებისა და ყველა მათ მიმართ, ვინც ჩვენს გარშემო ქმნიდა საზოგადოებრივ სახეს...

ურთულეს, კატაკლიზმებით დაბურანებულ დროს მოგვიხდა სკოლის დამთავრებაც, სტუდენტობაც და ა. შ. საქართველო განგსტერული, ველური დასავლეთის სისხლიანი კადრების „ცოცხალ“ გამეორებად იქცა... ამ უბედურების ორომტრიალში არც ერთი ჩვენთაგანი, არც ავადსახსენებელი „მხედრიონის“, არც რომელიმე ყაჩაღური თუ სხვა სახის გაერთიანებისა თუ დაჯგუფების წევრი არ გამხდარა. ჩვენ ვიცოდით ჩვენი საქმე და ჩვენი გზა... ეს გზა უპირველეს ყოვლისა, სიკეთის, ტრადიციისა და სიყვარულის აღმატებულების ზღვარზე გადიოდა...

იყო შეცდომები, ამისგან აბა ვინაა დაზღვეული, მაგრამ დანაშაული და მითუფრო უპატიებელი ქმედება, რომელსაც მრავალგზისი ანალოგიები გაჩნდა ჩვენს გარშემო, არავის არასდროს ჩაგვიდენია. გვიყვარდა და ვუყვარდით...

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქვრასა და თავისუფლებისთვის ბრძოლის უანკარეს საქმეშიც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ჩვენმა კლასმა და 9 აპრილის ტკივილიანი საღამოს საპროტესტოდ–სერგო ორჯონიკიძის ბიუსტი, რომელიც ჩვენი მშობლიური სკოლის წინსახეს „ალამაზებდა“ ისე დაამახინჯა, რომ, ხელისუფლება იძულებული გახდა ულვაშებიანი ღორეშელი რევოლუციონერი, ვის სახელსაც ატარებდა ჩვენი სკოლა, სარდაფში ჩაებრძანებინათ,საიდანაც მას მხოლოდ ჯართად ეღირსა “ამობრძანება” და ჩაბარება...

ამას გარდა, ყველაფერში გამორჩეული იყო ჩვენი კლასი... ამის დასტური ისიც გახლდათ, რომ ყველაზე მეტი კურსდამთავრებული, რომელიც ოდესმე ახსოვს რომელიმე სკოლას, იმავე წელს, სწორედ ჩვენი რიგებიდან ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა პრესტიჟულ სასწავლებელში...

ჩვენ გვიყვარდა და დღემდე გამორჩეულად გვიყვარს ერთმანეთი... ჩვენი სიყვარულის ათვლა ჩვენი პირველი ნაბიჯებიდან იწყება, თამარ თოდუას–ჩვენი პირველი მასწავლებლის უცამაღლესი ორანიდან, იმ დროიდან, როცა სიყვარული ყველაზე ალალი, უანგარო და წმინდა გრძნობაა...

ჩვენ ერთად გავლიეთ ყველაფრის მიუხედავად ლამაზი და უნიკალური წლები, მოვიპოვეთ ჭეშმარიტების წვდომის ფანტაზიით გამსჭვალული სიდიადე, რომელსაც წარმავალი მშვენიერებით ტკბობაში რწმენით მოპირთავებული ბედნიერების მიგნება ძალუძს, აი, ასეთი სიდიადე წარმოადგენს მეოცე საუკუნის არსსა და ბეჭედს, რომლის სულიერ ხატად ჩვენი ახალგაზრდა, ლამაზი მშობლების ხატება წარმოგვიდგება, რომელთა ზნეობრივი ტვირთის ქვეშ თავს იწონებს უანგარო და წრფელი ურთიერთსიყვარული!..

განა ის, რასაც პატარა წყენები ჰქვია, „მცირე ეპოქის“ უბადრუკი თამაში არ იყო, საუკუნის იმ ჭეშმარიტ, მუხლმოდრეკის ღირს გამოძახილთან შედარებით, რომელიც ჩვენი მოქალაქეობრივი როლის შეთანაბრებაა ვაჟკაცობასთან და რომელსაც პირნათლად ვასრულებთ, როგორც ნაღდი ქართველები და გულმოთნე მეგრელები!..

დავკარგეთ ჩვენი უსაყვარლესი კლასელები... გია შონიას ტრაგიკულმა აღსასრულმა უდიდესი ზღვარი გაავლო ჩვენსა და იმ სივრცეს შორის, რომელსაც ჯერ კიდევ ვარდისფრად ვისახავდით... ბეჟან კვარაცხელია, ძალიან ადრე- კობა ნასარაია... ბადრი ქაჯაია და ტკივილი უფრორე გაგვიშინაურდა და გაგვიძალიანდა...

მერე ამას ჩვენი მამების გარდაცვალებაც დაერთო და... ამასთან ვმრავლდებით და ვბედნიერდებით... მაინც ჯიქურ მივიწევთ წინ და წინ...

წავიდნენ ჩვენი უსაყვარლესი მასწავლებლები: აბდულ ლუკავა, ანზორ კაკაბაძე, ეთერ კვიკვინია, ლამარა ბუსქანძე, ციალა სახოკია, ჟორჟი ხასია, მიშა დანელია, მერაბ კიტია... სხვები და სხვები.. კაცობისა და ადამიანობის სიმბოლოები...

სკოლის დირექტორი–ალექსანდარა (საშა) ბერაია... დავკარგეთ მრავალი ახლობელი, მეგობარი და ნათესავი... შევიძინეთ ასევე დიდი ადამიანები და რბიან წლები „ნაბდით დაჭედილი ბედაურებივით“, რბიან და მიაქვს ჩვენი უთანაღრო ახალგაზრდობა, უდარდელი წლები და ბევრი რამ, რომელსაც ვერასდროს გაახმამაღლებ და ვერ იტყვი... ვეფერებით ჩვენს ძვირფას პედაგოგებს, ბატონებს: ლემზარს, რევაზს, რუზგენს, ამერანს, სერგოს... ქალბატონებს: ინეზას, გულნარას, თამრიკოს, დოდოს, მზეონას, ლუიზას... სხვებს, სხვებსა და სხვებს...

ჰოდა, მიყვარხართ ჩემო ლამაზებო და კარგებო: ანა, ირინა, ხათუნა, ინგებო, ნანა, მაყვალა, ლარისა, ნინოებო.. ბიჭებო: კობა, ლევან, მახო, რევაზ, ზაალ, კახებო, კახი, მერაბ, ჯაბა, სოსო, ზვიად, ბეჟან, რომან, ხარიტონ, ლაშა, გიორგი, მეორე კობა (ჭანჭიკი)...

დღესაც ჩამესმის ყურში: ჯვატალა, კიკო-ლიკო, კოდოსკოპი, კვატია, ბარბალა, ლიმონათი, ჯამბულია თუ ბამბული, ყურშა, ტორო, ჯეფერსონი, ნადირი, ჩხუ, ყირჭალი, გვადალა... და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ, რომელთა შემოქმედი უმთავრესად კობა თუთბერიძე გახლდათ!..

„ვახ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად, წარილტვნენ, გაჰ ქრნენ სიზმრებრივ ჩქარად.“

მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ...

სიყვარულით თქვენი-

**ლაშა გვასალია (ჯეფერსონი).**

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.